



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
2019 წლის 20 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
28 ივნისი

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	202192643
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი 0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ აგლაძე, ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლია ტვილდიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს კომპლექსურად, ჰოლისტიური მეთოდის გამოყენებით დაეუფლონ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარ საკითხებს და გამოწვევებს. პროგრამა უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებთან ერთად, გულისხმობს მომიჯნავე დისციპლინებიდან სხვადასხვა თემატიკების სწავლებას, მათ შორის პოლიტიკური იდეოლოგიების, ლიდერობისა და ეკონომიკის. პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პირველია და არ მოეპოვება ანალოგი სხვა სასწავლო დაწესებულებებში. პროგრამა არის ახალი და მას არ ყავს კურსდამთავრებულები შესაბამისად, პროგრამაზე სტუდენტების მიღება განხორციელდება მისი აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს, როგორც დარგობრივი ცოდნა, რომელიც დაეხმარება მას გააცნობიეროს უსაფრთხოების როლი სახელმწიფო მმართვეის სისტემაში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ასევე დაეხმაროს სტუდენტებს საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის წინაშე არსებული ტრადიციული და თანამედროვე რისკების და საფრთხეების განსაზღვრასა და გააანალიზებაში, შემდგომ კი რისკების მართვისა და გამოწვევებთან გამკლავების მექანიზმების გაცნობიერებაში.

ასევე პროგრამის მიზანია, სტუდენტს მისცეს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება მას გახდეს კონკურენტუნარიანი შრომით ბაზარზე.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდები, რომლებიც მიმართულია სტუდენტებს სტრატეგიული აზროვნების უნარის განვითარებისკენ და ეთიკური სტანდარტების, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობის უნარის გამომუშავებისკენ. ასევე უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით, აძლევს სტუდენტებს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამის განათლებას, რაც მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია პროგრამის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 20 ივნისს. ვიზიტამდე, 17 ივნისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

20 ივნისს შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან 18:45 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორი, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, სასწავლო

პროცესის მენეჯერი), თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან (რექტორი, ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, კარიერული ცენტრის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორები, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი), პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა 2.3 კომპონენტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი შესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, მეხუთე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, მოხდეს სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის გადახედვა პროგრამის განმახორციელებელი ყველა პერსონალის მიერ, რათა მოხდეს სალექციო თემატიკის გადაფარვის აღმოფხვრა.
- რეკომენდირებულია პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გადახედვა, აგრეთვე ლიტერატურის დადარება ბაკალავრიატის პროგრამებზე გამოყენებულ ლიტერატურასთან, რათა არ მოხდეს იდენტური მასალით სწავლება.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის სასწავლო კურსები: „იძულებითი პოლიტიკა“, „ეთნიკური და შიდა დაპირისპირებები ქვეყანაში“, „სტაბილიზაცია და რეკონსტრუქცია“;
- სასწავლო კურსი „ტერორიზმი და კონტრტერორიზმი“ არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო კურსად;
- უშუალოდ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების გაფართოვება;
- ნაშრომის შეფასების პროცესში მხარდამჭერი სისტემების ფართოდ დანერგვა კურსებში პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალურად აღმოფხვრისთვის;

- პრაქტიკის წესის დაწერა და სახელმძღვანელო დოკუმენტად მისი დამტკიცება, ასევე პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში პრაქტიკის ობიექტებზე შესასრულებელი აქტივობების გაწერა.
- კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ჩადება პროგრამის ბიუჯეტში.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- თბილისის ღია უნივერსიტეტის ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც იმავდროულად იყვნენ ან არიან სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები და გააჩნიათ შესაძლებლობა თეორიულთან ერთად პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს;
- ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის მეოთხე სემესტრის სავალდებულო კომპონენტია პრაქტიკის გავლა პროგრამის მიზნობრივ დაწესებულებებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის დაგროვილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში ტრანსფერს. აღნიშნულ პრაქტიკას ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ;
- პროგრამის შემუშავების პროცესში Leiden-ის და Georgetown-ის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებიდან საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გადმოტანა და აღნიშნული პროგრამებთან დადარება;
- პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენება;
- პოტენციური დამსაქმებელის სრული ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა შემუსავებულია ღია სასწავლო უნივერსიტეტის მისიის ფარგლებში. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს, მოამზადოს და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარს მიაწოდოს უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ შესაბამისი მიმართულებით წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები, საშემსრულებლო ეთიკა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. აღნიშნული მიზნების ორიენტირები სწორად არის გააზრებული უნივერსიტეტის მიერ და ადეკვატურად არის ასახული პროგრამის მიზნებში. შესაბამისად უნივერსიტეტის ხედვა, ამოქმედდეს ისეთი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში კვლევის, პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას, მიმართულია ყველა ხელსაყრელი პირობის შექმნისაკენ, რაც საბოლოო ჯამში მისცემს სტუდენტებს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამის განათლებას. პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის ადგილობრივი შრომის ბაზარი, რომლის კვლევა და შესწავლა განხორციელა უნივერსიტეტმა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი რესურსით. პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იქნა აგრეთვე ინსტიტუციების გამოცდილებები და მათი საჭიროებების დადგენა. შესაბამისად პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის შეთავაზების მიზეზს. პროგრამის მიზნები მიღწევადია. პროგრამა ხელს უწყობს კვალიფიციური, მტკიცე ეროვნული, ეთიკური და მორალური ღირებულებებით, ლიდერული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადებას,

რომლებსაც შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ, როგორც დარგის ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის სტრატეგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის მიზნები; ○ პროგრამის კატალოგი; ○ თბილისის ღია უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგია; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგია; ○ სკოლის საბჭოს ოქმები; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ○ პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის შეხვედრის ოქმები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან; ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სენატის გადაწყვეტილებები; ○ www.tou.edu.ge უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი გათვალისწინებულ დონე 7-ის სწავლის შედეგებთან და პასუხობს პროგრამის განხორციელების წინაშე მდგარ ძირითად მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას, შეესაბამება რა სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის აუცილებელ მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი გამჭვირვალეა. უნივერსიტეტში არსებობს აღნიშნული პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც პროცესში მონაწილეობას ღებულობდა აკადემიური/მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამის, როგორც არის საერთაშორისო ურთიერთობები, პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებელი. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ნიშნულები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, მომზადებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. პროგრამის შექმნის პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც შიდა და გარე შეფასების ჯგუფები, ასევე საერთაშორისო შეფასების მექანიზმი. კერძოდ, პროგრამის გარე შემფასებლად უნივერსიტეტმა მოიწვია Cranfield-ის უნივერსიტეტის პროფესორი,

რომლისგანაც	მიიღო	საჭირო	რჩევები	და	რეკომენდაციები
(http://search.cranfield.ac.uk/s/search.html?collection=cranfield). აგრეთვე გამოყენებული იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა Leiden-ის და Georgetown-ის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებიდან და მოხდა აღნიშნული პროგრამების დადარება მათთან. გამოყენებული იქნა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცოდნა და გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია. პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგები აღებულია განათლების ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე 6-დან, რაც შეესაბამება ბაკალავრის სწავლის შედეგების დონეს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მოცემულობა იცავს ლოგიკურ პირამიდის პრინციპს, ანუ ზედაპირული სწავლის შედეგები (მონაცემთა შეგროვება და განმარტება, სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, სიტუაციების ანალიზი) წინ უსწრებს ღრმა სწავლის შედეგებს და პროგრამის შინაარსს ავითარებს მარტივიდან რთულისაკენ. ამავდროულად თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რის მიხედვითაც ხდება სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკის დამზერას. არსებული მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ დადგინდეს, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამები,					
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის მიზნები; ○ უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი; ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ კვლევების უკუკავშირი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგაში ჩართული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შედეგაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი/წესი -ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი დანართი N14 ○ ინტერვიუები, აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;					

○ www.tou.edu.ge უნივერსიტეტის ვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამის შემუშავების პროცესში Leiden-ის და Georgetown-ის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებიდან საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გადმოტანა და აღნიშნული პროგრამებთან დადარება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის გააჩნია გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი პროგრამაზე დაშვების პროცედურები. ამავე დროს ორიენტირებულია პირის მიერ პროგრამის დაძლევის შესაძლებლობებზე. ვინაიდან პროგრამაში შემავალი სილაბუსების საკითხავი ლიტერატურის დიდი ნაწილი არის ინგლისურ ენაზე, ასევე გარკვეული კურსების შეთავაზება ხდება ინგლისურ ენაზე, სავალდებულოდ იქნა მიჩნეული პროგრამის განმავითარებელი პერსონალის მიერ, რომ პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატს ინგლისურ ენაში უნდა გააჩნდეს B 2 დონე. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც: გადალახავს ზღვარს საერთო სამაგისტრო გამოცდებზე (A-ტესტი) (ასევე ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც უგამოცდოდ მოიპოვებს სწავლის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით); წარმატებით გაივლის შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებას (დაადასტურებს პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობას); ფლობს ინგლისურ ენას B2-ის დონეზე (დასტურდება ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი დონის ფლობის დამატატურებელი საერთაშორისო სერთიფიკატით). აგრეთვე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც უგამოცდოდ მოიპოვებს სწავლის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა შეუძლია გააგრძელოს მაგისტრანტს, რომელიც ჩარიცხება სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის (მობილობის) წესით საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. რაც შეეხება შიდასაუნივერსიტეტო ტურს, სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგის/მიმართულების სპეციალისტებით დაკომპლექტებულ საგამოცდო კომისიასთან. მაგისტრანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: დარგის ფართო ცოდნა; ლოგიკური აზროვნება და არგუმენტირებული დასკვნების უნარი; მეტყველების კულტურა და აზრის ადეკვატურად გადმოცემის უნარი; შეკითხვებზე ზუსტი და ამომწურავი პასუხების გაცემის უნარი. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საჭირო ინფორმაცია და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის <http://tou.edu.ge>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამების კატალოგი ;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);

• მაგისტრატურის დებულება; • ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები-ვებ გვერდი; http://tou.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, საიდანაც სავალდებულო კომპონენტს დათმობილი აქვს 102 კრედიტი (სასწავლო სავალდებულო კურსები - 69, საწარმოო პრაქტიკა - 6, სამაგისტრო ნაშრომი - 27), ხოლო არჩევით კომპონენტს - 18 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამას დართული აქვს

სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან. პროგრამის შინაარსი და მისი სტრუქტურა იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა გამომდინარეობს მომდევნო კურსის/კომპონენტის დაძლევის შესაძლებლობიდან, რაც პროგრამას ხდის ლოგიკურად აგებულს. პროგრამის შექმნის პროცესში პროგრამის განმავითარებელი პერსონალისათვის მიცემული იყო სრული აკადემიური თავისუფლება. შესაბამისად პროგრამა არის მულტიდისციპლინური და შედგენილია ჰოლისტიკური პრინციპით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის მას. რაზეც მეტყველებს პროგრამის, როგორც სავალდებულო ასევე არჩევით კომპონენტსი გათვალისწინებული კურსები, მათ შორის ეკონომიკური აზროვნება, ეთიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო უსაფრთხოების სამართალი და ა.შ. სილაბუსებში გამოყენებულია ახალი ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი. ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე სასურველია, პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის კურსები: „იძულებითი პოლიტიკა“, „ეთნიკური და შიდა დაპირისპირება ქვეყანაში“. აგრეთვე სასურველია მოხდეს სასწავლო კურსის „ტერორიზმი და კონტრტერორიზმი“-ს სავალდებულო კურსად ჩართვა. პროგრამაში გამოყენებულია თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელიც ერთ-ერთი განმაპირობებელია ფაქტორია სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და პროცედურები)
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის კატალოგი;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო გეგმა;
- ვებგვერდი; <http://tou.edu.ge>
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები- განმავითარებელი ჯგუფის შეხვედრების ოქმები ;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ვებგვერდი; <http://tou.edu.ge>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის სასწავლო კურსები: „იძულებითი პოლიტიკა“, „ეთნიკური და შიდა დაპირისპირებები ქვეყანაში“, „სტაბილიზაცია და რეკონსტრუქცია“.
- აგრეთვე სასწავლო კურსი „ტერორიზმი და კონტრტერორიზმი“ არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო კურსად.
- პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში პრაქტიკის ობიექტებზე შესასრულებელი აქტივობების გაწერა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება“ შედგება ისეთი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტს სხვადასხვა უნარ ჩვევების განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია თავდაცვის და უსაფრთხოების პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისთვის. სასწავლო კურსები შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობითაა მოცემული: 1) კურსები, რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოების კუთხით განათლების ამაღლებას და გაფართოებას; 2) კურსები, რომლებიც ორიენტირებულია საბაზო განათლების გაღრმავებაზე; 3) კურსები, რომლებიც ემსახურება კვლევის მიმართულების გაძლიერებას. მთლიანობაში პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოდგენილია თანდათანობითი გართულების პრინციპის დაცვით. პროგრამის სილაბუსებში მოცემული თემატური საკითხები, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შედეგებს, იგი თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. ასევე, კურსების თემატიკის გათვალისწინებით

დაკონკრეტებულია შეფასების სისტემა და სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში გათვალისწინებულია 3, 5 და 6 კრედიტიანი კურსები. ასევე ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა, ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დაფუძნებულია აქტუალურ მიღწევებზე. შესაბამისად, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების გაწერისას გაპარულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, კერძოდ პრაქტიკის სილაბუსში არ არის გაწერილი ქულები დეტალურად (გრადაცია). ასევე სამაგისტროს დებულებაში და შეფასების წესში შეფასების კომპონენტებში გაწერილი ქულები (შუალედური შეფასება, შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა) არ ემთხვევა ზოგიერთ სილაბუსში გაწერილ ქულათა გადანაწილებას კომპონენტებში (თუმცა სილაბუსებში კომპონენტების მიხედვით ქულათა გადანაწილება სრულ თავსებადობაშია განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპთან). ასევე რამოდენიმე სილაბუსში არის თემატური გადაფარვები. სილაბუსში-შესავალი უსაფრთხოების მეცნიერებებში თემა 1, უსაფრთხოება- ცნება, შინაარსი, განმარტება. იგივე თემის გადაფარვა ხდება სილაბუსში ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა. თემა 1. რა არის უსაფრთხოება, უშიშროება და მართმსაჯულება. ორივე ლექტორი ფარავს იდენტურს საკითხს, ამავდროულად სავალდებულო საკითხავ ლიტერატურაში ორივე ლექტორს მიტითებული აქვს Paul D. Williams, “Security Studies: An Introduction”, 2012, Second Edition, Routledge – თავი 1. გვ. 1-12. იგივე თავი არის მითითებული სილაბუსში-საქართველოს ეროვნული თავდაცვისა და საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა. თემა 1.-ში. აგრეთვე სასურველია მოხდეს სილაბუსების „რუსეთის ჰიბრიდული ომი“ და „რუსეთის საინფორმაციო ომი და უსაფრთხოება“ დადარება. ორივე სილაბისი განიხილავს რუსეთის საინფორმაციო ომს. შესაბამისად, რეკომენდირებულია, მოხდეს სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის გადახედვა პროგრამის განმახორციელებელი ყველა პერსონალის ჩართულობით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა „საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკავლავრო პროგრამის კურსის“ აშშ-ს საგარეო პოლიტიკა“ და ეროვნულიდა საერთაშორისო უსაფრთხოების-ის კურსი „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა“ ისწავლება იდენტური წიგნით. სასურველია, მოხდეს, პროგრამზე გამოყენებული ლიტერატურის დადარება „საერთაშორისო ურთიერთობები“-ს საბაკალავრო პროგრამაზე გამოყენებულ ლიტერატურაზე, რათა არ მოხდეს იდენტური ლიტერატურით სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

• ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ვებგვერდი; http://tou.edu.ge
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილის გადახედვა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის სამსახურის მიერ, რათა მოხდეს სალექციო თემატიკის გადაფარვის აღმოფხვრა. ▪ სასურველია გამოყენებული ლიტერატურის დადარება საერთაშორისო ურთიერთობების საბაკავლარო პროგრამის ლიტერატურასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხდება სწავლების ბოლო სემესტრში და იგი არის ამ პროგრამის ერთ-

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავალდებულო კომპონენტი. იგი წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. პროგრამის სწავლის შედეგები აქცენტს აკეთებს იმ ცოდნაზე, უნარებზე და პასუხისმგებლობებზე რომელიც აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი კომპონენტის განხორციელებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს სამაგისტრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. სტუდენტების კვლევით პროექტში ჩართვას ხელს უწყობს ინივერსიტეტის ეგიდით გამართული სამეცნიერო კონფერენციები, მათ შორის საერთაშორისოც. უნივერსიტეტში ტარდება არაერთი ლოკალური და საერთაშორისო კონფერენცია პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობით. უახლესი კონფერენცია გახლდათ „ერთი გზა ერთი სარტყელის გლობალური პერსპექტივები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საკითხით დაინტერესებულმა 10-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა და აკადემიურმა წრეებმა. კონფერენციის მიზანი იყო რეგიონისა და მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პლატფორმის შექმნა. ორდღიანმა კონფერენციამ შეისწავლა „ერთი გზა ერთი სარტყელის გლობალური პერსპექტივები“-ის საკითხები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სამართლებრივ კრილში. აგრეთვე საკითხის ამჟამინდელი და სამომავლო მიზნებისათვის, რას ნიშნავს აღნიშნული სფერო ქვეყნებში, როგორია მთავრობების მოსაზრებები, ინსტიტუტების, განათლების, მეცნიერების და ინვესტიორების როლი მათი პოტენციალის რეალიზების მიზნით. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ხდება აქტუალურ საკითხებზე თემების მომზადება და მათი წარდგენა. აგრეთვე საუკეთესო ნაშრომები წარდგება გაერთიანებული კონფერენციაზე. ბუნებრივია სამეცნიერო ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება წერიტი საშინაო დავალებების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობი აქტივობები.

პროგრამაში ასევე სავალდებულო კურსად გამოყენებულია ცალკე მდგომი პრაქტიკის კომპონენტი. ამ მოდელზე აქცენტის გაკეთება განაპირობა სასწავლო კომპონენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების აუცილებელმა ფლობამ. სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე ჯერ იმყოფებიან დამკვირვებელთა როლში შემდეგ კი გადადიან უშუალოდ ქმედით პრაქტიკაზე. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, სრულად გააცნობიეროს უსაფრთხოების სფეროს სპეციფიკა და მნიშვნელობა, განვითაროს თეორიული და პრაქტიკული სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული უნარები, შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. მოქნილია სისტემა სპეციალობით მომუშავე მაგისტრანტისთვის, მას უფლება აქვს პრაქტიკა გაიაროს იმ დაწესებულებაში, რომელშიც ის მუშაობს და პრაქტიკით გათვალისწინებული კრედიტი მოპოვებულად ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ ის შეასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. პრაქტიკის დღიურის, პრაქტიკის ანგარიშის და შუალედური და დასკვნითი პრეზენტაციების შეფასების წესი და კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. აქვე რჩევის სახით უნდა ითქვას, რომ გარდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებისა, საჭიროა გაკეთდეს იგივე ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები პრაქტიკის თაობაზე. ასევე მოხდეს პრაქტიკის წესის დაწერა და სახელმძღვანელო დოკუმენტად მისი დამტკიცება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პრაქტიკის წესის დაწერა და სახელმძღვანელო დოკუმენტად მისი დამტკიცება. საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის მეოთხე სემესტრის სავალდებულო კომპონენტია პრაქტიკის გავლა პროგრამის მიზნობრივ დაწესებულებებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის დაგროვილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში ტრანსფერს. აღნიშნულ პრაქტიკას ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება მიზნად ისახავს ისეთი სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას. სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია თითქმის ყველა აქტიური სწავლის მეთოდები. მაგალითად, ვერბალური და წერითი, წიგნზე მუშაობის, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, ასევე დემონსტრირების მეთოდები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სწავლა სწავლებით სხვა. აღნიშნული მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მეთოდოლოგია მთლიანობაში ადეკვატურია ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამასთან და შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისაღწევ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. გარდა ამისა, ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება აღინიშნოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცოდნა და გამოცდილება ამ კუთხით, რადგანაც მათ უშუალოდ პროგრამის შემუშავების პროცესში გამოიყენეს დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები გამომდინარე იქედან, რომ ყველა მათგანს მოუწია სხვადასხვა პროგრამებზე სწავლა საზღვარგარეთის წამყვან სასწავლებლებში, რომლებიც უშუალოდ იყენებდნენ ზემოთჩამოთვლილ სწავლის მეთოდებს. შესაბამისად ზუსტად აქვთ პროგრამაში და სილაბუსებში ჩამოყალიბებული საჭირო სწავლის შედეგები და მათი მიღწევის გზები სწორი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროფესორის მიერ კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო/კვლევითი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი შესაბამისი სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • მაგისტრატურის დებულება; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; • ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • სწავლება-სწავლის მეთოდები; • ვებგვერდი; http://tou.edu.ge

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში, თითოეულ კურსში მიზნობრივად გამოყენებულია მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა. უნივერსიტეტს აქვს საერთო შიდა ელექტრონული სისტემა, რომელშიც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს მის შეფასებებს მთელი სემესტრის მიმდინარეობას, საჭიროების შემთხვევაში კი უნივერსიტეტი აძლევს საშუალებას სტუდენტს ინდივიდუალური კონსულტაციების, მათი შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შემდეგი ინდექსური სისტემა და მაჩვენებლები:

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების – 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

უარყოფითი შეფასებები:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები;

ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს აღნიშნული სასწავლო კურსი.

ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს საშუალო აკადემიური შეფასები GPA-ს სისტემა, რომელიც ექვივალენტურია სტუდენტის მიერ სხვადასხვა კურსში მიღებული ნედლი ქულის. სწორედ მისი ანალიზის საფუძველზე ხდება სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემა და GPA-ს გაუმჯობესებისთვის შესაბამისი გზების დასახვა და გეგმის შემუშავება.

პროგრამის შემაჯამებელ დოკუმენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც კრავს სტუდენტის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ასევე აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტის კვლევითი უნარების დემონსტრირებას. პროგრამაში გამჭვირვალეა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სქემა და რუბრიკები.

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის მთავარი კომპონენტია დამამთავრებელ სემესტრში პრაქტიკის კომპონენტის გავლა მიზნობრივ დაწესებულებებში. პროგრამის აღწერილობაში და თვითშეფასების დოკუმენტში გამოკვეთილია პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების, რომელზეც წვდომა სტუდენტს ექნება პროგრამაზე სწავლის დაწყებისთანავე, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების პროცესშიც.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია „გამოცდების ჩატარების დებულება“ www.tou.edu.ge რომელიც საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები და პროცედურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი N1)
- სილაბუსები (დანართი N1)
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; www.tou.edu.ge
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; (დანართი N1)
- ელექტრონული პორტალი/პროგრამა;
- გამოცდების ჩატარების დებულება - შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა www.tou.edu.ge
- ვებგვერდი; www.tou.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ, ინტერვიუების პროცესში, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები, დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მხარეები თანამშრომლობდნენ სტუდენტებთან, რაც გულისხმობს მათთვის პროგრამის პროექტის გაზიარებას და მათგან შესაბამისი რეკომენდაციების მიღებას, რაც საბოლოო ჯამში პროგრამის გასაუმჯობესებლად იქნა გამოყენებული. აღნიშნულზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნული პროგრამის დაგეგმვაში და პროფილის განსაზღვრაში.

ინტერვიუებმა ასევე ცხადჰყო, რომ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. სხვადასხვა ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით უნივერსიტეტის და სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, გარდა ამისა უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისამდე, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრება, გაეცნოს სილაბუსებს და დავალებებს და განახორციელოს საქმეთწარმოება.

გარდა ამისა სტუდენტებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ინტერვიუებიდანვე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს მათი ნაშრომების საუნივერსიტეტო გამოცემებში დაბეჭდვაში. უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა, როგორც დარგობრივ, ასევე სხვა სფეროს უცხოურ და ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებთან და ლიტერატურასთან წვდომა, რომლის გამოყენების თავისუფლებაც სტუდენტს აქვს საჭიროების შემთხვევაში.

სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ეწყობა დასაქმების ფორუმები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტებისთვის შესაბამისი ვაკანსიების მოზიდვას და დასაქმების შესაძლებლობას. გარდა ამ შესაძლებლობისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს მეილზე შეტყობინებების სახით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კი დაგეგმილია სხვადასხვა დარგობრივ სტრუქტურებში ორთვიანი პრაქტიკების გავლა, რაც ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტების შრომითი უნარების განვითარებას, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას შრომითი ბაზრისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ექსპერტების აზრით, უშუალოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების გაფართოვება, ხელს შეუწყობს სტუდენტებში სფეროს შესახებ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების აკუმულირებას და უფრო კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი კადრების მომზადებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აღნიშნული პროგრამის საუკეთესო პრაქტიკაა პრაქტიკის შესაძლებლობა სამიზნე დაწესებულებებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების თეორიული ცოდნის ტრანსფერს პრაქტიკაში და პრაქტიკული დავალებების მოდიფიცირებას თეორიულ ცოდნასთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი არის კვალიფიციური დარგში, მათ აქვთ დიდი და ღირებული თეორიული ცოდნა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება დარგში. ამავდროულად სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილებაც, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების შემთხვევაში ისინი სტუდენტებს გაუწევენ ადექვატურ კონსულტირებას და ხელმძღვანელობას სხვადასხვა სამეცნიერო თუ კვლევითი ნაშრომების შესრულებაში. შესაბამისად სტანდარტის 3.2 კომპონენტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

--

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით: აკადემიური პერსონალით და მოწვეული სპეციალისტებით. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პირი, აქედან 9 აფილირებული აკადემიური პერსონალია, სადაც 2 პროფესორია, 7 ასოცირებული პროფესორი, ხოლო 1 უცხოელი მოწვეული ლექტორი. სასწავლო პროცესში ასევე არის ჩართული 10 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა) რაც ადასტურებს უსაფრთხოების დარგში მათ კომპეტენტურობას. პირველ წელს პროგრამაზე გათვალისწინებულია 20 სუტდენტის მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შეფასება-განვითარებაში და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- <https://www.tou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერმანენტულად ტარდება მონიტორინგი. აღნიშნული პროცესის გაკონტროლება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. პროცესის ანალიზისათვის ძირითადად გამოიყენება გამოკითხვები, უშუალოდ ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სააუდიტორიო მეცადინეობის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტს გააჩნია მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები საზღვარგარეთ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ერთობლივი კვლევების განხორციელებისა და ცოდნის ტრანსფერის თვალსაზრისით. ღია სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს ტრენინგებს, რომელშიც მონაწილეობას იღებს ეროვნული და საერთაშორისო პროგრამის აკადემიური პერსონალი. ტრენინგის თემატიკა ძირითადად ეფუძნება სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც გრძელვადიან დინამიკაში პოზიტიურად აისახება პროგრამის განხორციელებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; https://www.tou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ეროვნული და საერთაშორისო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურა. უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებული არიან საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით. თითოეულ სტუდენტს აქვს საშუალება ისარგებლოს არსებულ კომპიუტერულ ცენტრებში განთავსებული კომპიუტერებით და მათში არსებული პროგრამებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა; ▪ ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

▪ ინტერვიუები სტუდენტებთან ▪ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ https://www.tou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ნაშრომის შეფასების პროცესში მხარდამჭერი სისტემების ფართოდ დანერგვა კურსებში პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალურ აღმოფხვრისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ეროვნული და საერთაშორისო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნებები მოიცავს, შრომის ანაზღაურების, მატერიალური და სასწავლო რესურსების მართვის, რესურსების მოვლის, განახლების და სხვა მუხლებს. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. მართალია, უსდ ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტის დაფინანსება, თუმცა პროგრამის

ბიუჯეტში არ არის წარმოდგენილი თუ რა თანხა არის გამოყოფილი უშუალოდ ეროვნული და საერთაშორისო პროგრამის კვლევითი კომპონენტისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის ბიუჯეტი ▪ უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმა ▪ უსდ სამოქმედო გეგმები ▪ ინტერვიუები უსდ მმართველობასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ჩადება პროგრამის ბიუჯეტში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
---	---	--	--	--

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. თვითშეფასების ანგარიშის შედეგნასა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები რომელიც დეტალურია და სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავს ყველა ასპექტს. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ ყველა მხარე აქტიურად იყო ჩართული პროცესში. პროგრამაშიც მოხდა გარკვეული ცვლილებები. სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე დაემატა არჩევითი კურსები. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. ამასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი სადაც ასახულია, სხვა ცვლილებების, რომელიც განხორციელდა კვლევის შედეგების საფუძველზე. უნივერსიტეტს პროგრამის შემუსავებისას მჭიდრო კავშირი ქონდა ორგანიზაციებთან რომლებიც წარმოადგენენ კურსდამთავრებულების პოტენციალურ დამსაქმებლებს, ამიტომ დამსაქმებლებმა ინტერვიუებისას დაადასტურეს სრული ჩართულობა პროგრამის განვითარებაში და აღნიშნეს, რომ აქვთ მუდმივი უკუკავშირი უნივერსიტეტთან პროგრამის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა; - თვითშეფასების ანგარიში; - ინტერვიუება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სხვა დოკუმენტაცია; ▪ ინტერვირება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; https://www.tou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის პროგრამების განვითარების ჯგუფის მეშვეობით ხდება პროგრამების და სილაბუსების პერიოდული განვითარება. აღნიშნული პროგრამის სილაბუსების შემუშავება მოხდა პარტნიორი საგანმანათლებლო უნივერსიტეტების და დარგის სპეციალისტების ჩართულობით, მათ შორის უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულების და აგრეთვე უცხოელი სპეციალისტების. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები არიან უშუალო პოტენციური დამსაქმებლები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. იმის გამო, რომ ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამა არის ახალი, მასში არ არის გათვალისწინებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექპერტთა შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა; - თვითშეფასების ანგარიში; - ინტერვიუება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სხვა დოკუმენტაცია; - ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; - ინტერვიუები პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები პოტენციურ დამსაქმებლებთან https://www.tou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. შემუშავებულია ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პერიოდულ შეფასებას. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუების დროსაც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი. ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და ანალიზის პრაქტიკა საჭიროების მეთხვევაში უსდ იყენებს კოლეგუალურ შეფასებას, რა დროსაც სხვადასხვა უსდ-ში დასაქმებული დარგის სპეციალისტები ესწრებიან ად ფასებენ კოლეგებს. სასწავლო კურსების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა) აღნიშნულ კურსს, რაც აისახება შესაბამის ცვლილებებში. პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. მონიტორინგები ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო სამსახურის მიერ. აღსანიშნავია, რომ შედგენილია სწავლის შედეგების რუკები ყველა სასწავლო კურსებისთვის, ასევე მთლიანი პროგრამის რუკა, რომლითაც ხორციელდება შედეგების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - ინტერვიუება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევები და სხვა დოკუმენტაცია;
 - ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
 - ინტერვიუები პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- <https://www.tou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის ღია
სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეროვნული და საერთაშორისო
უსაფრთხოება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ზურაბ აგლაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლია ტვილდიანი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა